



ბრძანება

N 04/31

06/02/2017

31-01-4-201702061802



საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2016 წლის 7 დეკემბრის განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

I. აღწერილობითი ნაწილი

2016 წლის 7 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (შემდგომში - განმცხადებელი) №01/1172 განცხადება, რომელიც ეხება სათამაშოების ბაზარზე რეალიზებული თოჯინების შეუსაბამობას ამ თოჯინებზე დატანებულ CE-ნიშანთან, რაც განმცხადებლის მოსაზრებით, წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის სავარაუდო დარღვევას. შესაბამისად, განმცხადებელი სააგენტოსაგან ითხოვს სათანადო რეაგირებას.

სააგენტოს 2016 წლის 8 დეკემბერს №02/2164 წერილით განმცხადებელს ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, თუ ვის მიმართ ჰქონდა ადგილი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევებს და რაში გამოიხატებოდა აღნიშნული ქმედება.

2016 წლის 22 დეკემბრის №01/1252 წერილით „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია 2016 წლის 7 დეკემბრის განცხადებასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა შპს „თოი ლენდის“ (ს/ნ 405066663), შპს „ცეროდენას“ (ს/ნ 202457064), შპს „ბანა თოის“ (ს/ნ 405094767), შპს „ოცნების სამყაროს“ (ს/ნ 4049156623), შპს „ჰობი მასტერის“ (ს/ნ 206343991), სს „გუდვილის“ (ს/ნ 206343991) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას შპს „ანვოლის“ (ს/ნ 404979494) მიმართ.

2016 წლის 27 დეკემბრის №02/2240 – 02/2246 წერილებით სააგენტოში წარმოდგენილი განცხადება გაეგზავნათ შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს და ეთხოვათ პოზიციის წარმოდგენა.

განცხადების დასაშვებადის შესწავლის პროცესში წამოჭრილი საკითხების დაზუსტებისა და უკეთ გარკვევის მიზნით, წერილები გაეგზავნათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (რეგ. №02/12 06.01.2017), სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (რეგ. №02/11 06.01.2017), სსიპ შემოსავლების სამსახურს (რეგ. №01/28 10.01.2017). საკონსულტაციო შეხვედრა ეთხოვა სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს (რეგ. 2017 წლის 10 იანვრის №02/30 წერილით), რომელმაც თავისი პოზიცია 2017 წლის 17 იანვრის №01/39 წერილით წარმოადგინა. ასევე, მიღებულ იქნა პასუხები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსადმი გაგზავნილ წერილებთან დაკავშირებით (2017 წლის 16 იანვრის №01/31 და №01/32 წერილებით). სსიპ შემოსავლების სამსახურმა პოზიცია წარმოადგინა 2017 წლის 30 იანვრის №01/70 წერილით.

2016 წლის 17 იანვარს შედგა შეხვედრა ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ წარმომადგენელთან (რეგ. №03/10 17.01.2017).

განმცხადებელმა, 2017 წლის 12 იანვარს, სააგენტოში წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის ნომერი: №01/25), საიდანაც ირკვევა, რომ მათი მოსაზრებით, არაკეთილსინდისიერ კონკურენციას ადგილი აქვს არა მხოლოდ შპს „ანვოლის“, არამედ შპს „სუპერის“ (ს/ნ 205050905) და შპს „პეპელას“ (ს/ნ 205174808) მიმართ. შესაბამისად, აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტებსაც ეთხოვათ პოზიციის წარმოდგენა 2017 წლის 16 იანვრის № 02/34 და №02/37 წერილებით.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, სააგენტოს კონკურენციის დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 23 იანვრის №03/18 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განცხადების დასაშვებობის ვადა გაგრძელდა 2 (ორი) კვირით და აღნიშნულის თაობაზე განმცხადებელი ინფორმირებულ იქნა სააგენტოს 2017 წლის 24 იანვრის №02/88 წერილით.

სააგენტოს წარმომადგენლები შეხვდნენ განცხადებაში მითითებულ ყველა ეკონომიკურ აგენტს. 2017 წლის 16 იანვარს სააგენტოში გაიმართა შეხვედრა შპს „ანვოლის“ წარმომადგენლებთან (რეგ. №03/4 16.01.2017), ხოლო 25-27 იანვრის ჩათვლით გაიმართა შეხვედრები შემდეგი ეკონომიკურ აგენტების: სს „გუდვილის“; შპს „ოცნების სამყაროს“; შპს „ბანა თოის“; შპს „ჰობი მასტერის“; შპს „პეპელას“; შპს „თოი ლენდის“; შპს „სუპერის“ წარმომადგენლებთან. შპს „ცეროდენას“ წარმომადგენელი არ გამოცხადდა შეხვედრაზე. ამასთან, შპს „ცეროდენას“ გარდა, წერილობითი პოზიცია წარმოადგენილი აქვს ყველა დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტს.

II. საქართველოს კანონმდებლობა

1. მატერიალური ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-2 მუხლის თანახმად, კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კანონის მე-16 მუხლის თანახმად, კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

კანონის მე-17 მუხლით დადგენილია სააგენტოს საქმიანობის პრინციპები, კერძოდ: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

კანონის 11³ მუხლის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ამ მუხლის მიზნებისათვის არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, კერძოდ: ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს; ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა; გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია; დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება; ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება; ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს; ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში

„საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, განმცხადებელი და მხარეები ვალდებული არიან, სააგენტოს მიაწოდონ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

კანონის 24-ე მუხლისა და საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უარს ამბობს განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, მათ შორის, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სააგენტოში განცხადების წარდგენის უფლება აქვს განმცხადებელს, თუმცა იგი მხარედ არ განიხილება. ხოლო საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად სააგენტოს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო განცხადების ან/და საჩივრის მიღებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სწავლობს განცხადების ან/და საჩივრის დასაშვებობის საკითხს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს, მოსთხოვოს განმცხადებელს ან/და მომჩივანს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენა და განუსაზღვროს მისი წარდგენის ვადა, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია.

ასევე, განცხადების განსახილველად მიღების შემდეგ, სააგენტო განსაზღვრავს შესაბამის ეკონომიკურ აგენტს/აგენტებს და 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობებს განცხადების შესახებ და აძლევს შესაძლებლობას წარმოადგინოს განცხადების თაობაზე შენიშვნები/მოსაზრებები.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე. კანონის 27-ე მუხლი ადგენს ამ კანონის დარღვევის თაობაზე დავის ხანდაზმულობის ვადას, რომელიც განისაზღვრება დარღვევის ჩადენიდან არა უმეტეს 3 წლით.

საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლით დადგენილია საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რომლის მიხედვითაც, სააგენტო კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, განცხადების/საჩივრის

დასაშვებობის საკითხის შესწავლის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების (შემდგომში „განცხადების წარდგენის წესი“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო განცხადებას/საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის/განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს/მომჩივანს. განცხადების/საჩივრის დასაშვებად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არის სააგენტოს მიერ მოკვლევის დაწყების საფუძველი.

მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

III. სათამაშოებზე CE ნიშანდების რეგულირება ევროკავშირში

1. 2009 წლის 18 ივნისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009/48/EC დირექტივა¹ სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ

სათამაშოების უსაფრთხოების 2009/48/CE დირექტივა (შემდგომში „დირექტივა“), რომელსაც წინ უსწრებდა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ 88/378/EEC დირექტივა², ძალაში შევიდა 2009 წლის 20 ივლისს. აღნიშნული დირექტივა ამკაცრებს მოთხოვნებს წარმოებისა და მიწოდების დონეზე. წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში დირექტივის იმპლემენტაცია 2011 წელს განხორციელდა. შესაბამისად, 2011 წლიდან ის გავრცელდა ევროპის ბაზარზე განთავსებულ სათამაშოებზე, თუმცა, ქიმიური ნივთიერებების მოთხოვნებთან შესაბამისობის ვალდებულება, გარდამავალი პერიოდის გათვალისწინებით, 2013 წლით იყო განსაზღვრული.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ 2009/48/EC დირექტივა განსაზღვრავს ერთი მხრივ, სათამაშოების უსაფრთხოებისა და მეორე მხრივ, ევროკავშირში მათი თავისუფალი

¹ Directives 2009/48/EC of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the safety of toys.

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:170:0001:0037:en:PDF>

² Council Directive of 3 May 1988 on the approximation of the laws of the Member States concerning the safety of toys (88/378/EEC). http://eurotechcertification.com/docs/Toy_Safety_Directive.pdf

გადაადგილების/წარმოების წესებს. შესაბამისად, დირექტივას ორი მთავარი მიზანი აქვს: ერთი, უზრუნველყოს, რომ სათამაშოები, რომელსაც ბავშვები გამოიყენებენ, იყოს უსაფრთხო, და მეორე, გარანტირებული გახადოს სათამაშოების შიდა ბაზრის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

ზემოხსენებული დირექტივა ვრცელდება პროდუქციაზე, რომელიც შექმნილია ან განკუთვნილია (მიუხედავად იმისა, ის ასეთად შეიქმნა თუ არა) თამაშისთვის 14 წლამდე ბავშვებისთვის (შესაბამისად, მას ეწოდება „სათამაშო“).³

დირექტივის მიხედვით, სათამაშოები, რომლებიც განთავსდება ევროკავშირის ბაზარზე, უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირში დადგენილ კანონმდებლობის მოთხოვნებს. ეკონომიკური ოპერატორები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ისეთი საზოგადოებრივი ინტერესის სრული დაცვა, როგორცაა ჯანრთელობა, უსაფრთხოება, მომხმარებელთა და გარემოს დაცვა და ევროკავშირის ბაზარზე იმოქმედონ კეთილსინდისიერი კონკურენციის ფარგლებში⁴.

დირექტივაში გამოყოფილია ეკონომიკური ოპერატორების (მწარმოებლის, ავტორიზებული წარმომადგენლის, იმპორტიორისა და დისტრიბუტორის) ვალდებულებები და შესაბამისად, მათი პასუხისმგებლობა ბაზარზე უსაფრთხო სათამაშოებს მიმოქცევასთან დაკავშირებით. ყველა ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, კანონმდებლობის სრული დაცვით უზრუნველყოს სათამაშოების განთავსება ევროკავშირის ბაზარზე.

დირექტივის თანახმად, მწარმოებელი, რომელიც ინფორმირებულია პროდუქტის შედგენისა და წარმოების ყველა პროცესისა და დეტალის შესახებ, ვალდებულია, მოახდინოს სათამაშოების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ძირეული ანალიზი. კერძოდ, მან უნდა ჩაატაროს სათამაშოს ანალიზი ქიმიურ, ფიზიკურ, მექანიკურ, ელექტრო, ჰიგიენურ, რადიოაქტიურ კომპონენტებზე და განსაზღვროს არსებული და პოტენციური საშიშროებები. ამდენად, დირექტივის მიხედვით, შესაბამისობის შეფასება წარმოადგენს მწარმოებლის ერთპიროვნულ ვალდებულებას.⁵ ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც განათავსებს სათამაშოს ბაზარზე თავისი სახელით, ან თავისი სასაქონლო ნიშნით, ან მოდიფიცირებას უკეთებს სათამაშოს იმგვარად, რომ შეიძლება დაზიანდეს მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოთხოვნები, განიხილება მწარმოებლად დირექტივის მიზნებისთვის და ეკისრება ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორც მწარმოებელს.⁶

დირექტივის შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში იმპორტირებული სათამაშო შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც მწარმოებლის მიერ სათამაშოების ხარისხის შესაბამისობის შეფასების

³ Toy Safety Directive 2009/48/EC - An explanatory guidance document, 15. <https://law.resource.org/pub/eu/toys/guidance/tsd-rev1-7-explanatory-guidance-document-en.pdf>

⁴ დირექტივა 2009/48/EC, მუხლი 9.

⁵ Toy Safety Directive 2009/48/EC - An explanatory guidance document, Art. 13.

⁶ იქვე, მუხლი 17.

ყველა პროცედურის დაცვას გულისხმობს. მეწარმე სუბიექტი ვალდებულია, მოახდინოს მხოლოდ ისეთი სათამაშოების იმპორტი, რომელიც შეესაბამება ევროკავშირში დადგენილ მოთხოვნებს. იმპორტიორს აქვს ვალდებულება, ბაზარზე სათამაშოს განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში, შეინახოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რათა, მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგინოს ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს.

დირექტივის მე-7 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია დისტრიბუტორის ვალდებულება, რომ განსაკუთრებული მზრუნველობით იმოქმედოს და უზრუნველყოს სათამაშოების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

როდესაც დისტრიბუტორი მიიჩნევს, რომ სათამაშო არ შეესაბამება გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არ უნდა დაუშვას ბაზარზე იქამდე, სანამ ის არ იქნება შესაბამისობაში მოყვანილი. უფრო მეტიც, როდესაც სათამაშო რისკის მატარებელია, დისტრიბუტორმა უნდა მოახდინოს მწარმოებლისა და იმპორტიორის, ისევე როგორც ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს ინფორმირება ამის შესახებ.⁷

დირექტივის მე-16 მუხლის მიხედვით, ნებისმიერი სათამაშო, რომლის განთავსებაც ხდება ბაზარზე, უნდა შეიცავდეს CE ნიშანდებას. CE ნიშანდების ზოგადი წესები დარეგულირებულია (EC) No 765/2008 რეგულირების (შემდგომში „რეგულირება“) 30-ე მუხლით.⁸ სათამაშოზე CE ნიშანდებით მწარმოებელი ადასტურებს, რომ სათამაშო შეესაბამება ყველა დადგენილ მოთხოვნას და რომ შესაბამისობაზე ის არის პასუხისმგებელი. CE ნიშანდება წარმოადგენს ერთადერთ ნიშანდებას, რომელიც მოწმობს სათამაშოს შესაბამისობას ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღნიშნული რეგულირების მე-4 თავის 30-ე მუხლის შესაბამისად, CE ნიშანდების მინიჭება ხდება მხოლოდ მწარმოებლის, ან მისი ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ.

2009 წლის 18 ივნისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ 2009/48/EC დირექტივის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სათამაშოები CE ნიშანდებით შეესაბამება ამ დირექტივის მოთხოვნებს. სათამაშოები, რომლებსაც არ აქვს CE ნიშანდება, ან რომელიც სხვაგვარად არ შეესაბამება აღნიშნულ დირექტივას, არ დაიშვება ევროკავშირის ბაზარზე იქამდე, სანამ არ მოხდება მისი შესაბამისობაში მოყვანა დირექტივის მოთხოვნებთან.⁹

⁷ Toy Safety Directive 2009/48/EC - An explanatory guidance document, Art. 18.

⁸ იქვე, მუხლი 33. Regulation (EC) No 765/2008 of the European Parliament and of the Council of 9 July 2008 setting out the requirements for accreditation and market surveillance relating to the marketing of products and repealing Regulation (EEC) No 339/93 (Text with EEA relevance), 14. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:218:0030:0047:en:PDF> [

⁹ Toy Safety Directive 2009/48/EC - An explanatory guidance document, Art. 33.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილნი არიან გააკონტროლონ პროდუქციის შესვლა ბაზარზე.¹⁰

IV. სათამაშოებზე CE ნიშანდების რეგულირება საქართველოში

1. „სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №641 დადგენილება

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები).¹¹ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების III თავი ეთმობა შემდეგ საკითხებს - „ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება“¹².

შეთანხმების ეს ნაწილი ითვალისწინებს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სისტემების დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის სისტემებთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციონალურ დაახლოებას.

აღნიშნულ თავში (დანართებში), გაწერილია კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების როგორც ჰორიზონტალური, ასევე სექტორული პრიორიტეტები. სექტორულ კანონმდებლობასთან დაახლოება გულისხმობს ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების გადმოტანას საქართველოს კანონმდებლობაში.

შეთანხმების თანახმად, უნდა დაინერგოს ეფექტიანი ბაზრის ზედამხედველობის სისტემა სამრეწველო პროდუქტებზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსებას და ამ გზით ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას.

ზემოხსენებული თავის დანართი მოიცავს დაახლოების სექტორული კანონმდებლობის ნუსხას, რომელშიც ასახულია ევროკავშირის ახალი და გლობალური

¹⁰ Regulation (EC) No 765/2008 of the European Parliament and of the Council of 9 July 2008 setting out the requirements for accreditation and market surveillance relating to the marketing of products and repealing Regulation (EEC) No 339/93 (Text with EEA relevance), Art. 13. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:218:0030:0047:en:PDF>

¹¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2496959/0/ge/pdf>

¹² თავი 3: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება. http://www.economy.ge/uploads/dcfta/teqsti_danarti/GEO_3_1.pdf

მიდგომის დირექტივებთან საქართველოს დაახლოების პრიორიტეტები.

სხვა დირექტივებთან ერთად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, მოახდინოს კანონმდებლობის ჰარმონიზება 2009 წლის 18 ივნისის ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ 2009/48/EC დირექტივასთან, რომელიც უნდა განხორციელდეს ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში.¹³

„სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №641 დადგენილების შესაბამისად, 2019 წლისთვის უნდა განხორციელდეს ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან, კერძოდ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ 2009/48/EC დირექტივასთან, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება.

2. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების შესაბამისად, კოდექსის ერთ-ერთი მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა; ასევე უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა;

კოდექსის 94-ე მუხლი ეხება პროდუქტის ნიშანდების საკითხს, რომლის პირველი პუნქტის შესაბამისადაც, პროდუქტის ნიშანდება არის პასუხისმგებელი პირის მიერ იმის დეკლარირება, რომ: ა) პროდუქტი შეესაბამება ახალი მიდგომის ტექნიკურ რეგლამენტებს და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას; ბ) პროდუქტს გავლილი აქვს შესაბამისობის შეფასების პროცედურები. ნიშანი პროდუქტზე დატანილი უნდა იქნეს ნათლად, ადვილად უნდა იკითხებოდეს და მარტივად არ უნდა იშლებოდეს პროდუქტზე ან მის მონაცემების ნაწილზე. თუ პროდუქტი არ იძლევა ამის საშუალებას, ნიშანი დატანილი უნდა იქნეს პროდუქტის შეფუთვაზე და თანმხლებ დოკუმენტებზე, თუ ეს ტექნიკური რეგლამენტით არის მოთხოვნილი. ზემოხსენებული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ევროკავშირში მოქმედი მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი CE ნიშნის მქონე პროდუქტი საქართველოში დაიშვება დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე.

„საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული,

¹³ თავი 3: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება. დანართი III დაახლოება, 4.

http://www.economy.ge/uploads/dcfta/teqsti_danarti/GEO__III-1.pdf

რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილების შესაბამისად, საქართველოში აღიარებულია ამ დადგენილების დანართით განსაზღვრულ ქვეყნებში უფლებამოსილი/აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამრიგად, ამ ქვეყნებიდან იმპორტირებული და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის თანახმად, რეგულირებულ სფეროს მიკუთვნებული ის პროდუქტი, რომელსაც გააჩნია ამავე ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები და ნიშანდება, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსთვის აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, საქართველოს ბაზარზე განთავსდება შეზღუდვებისა და დამატებითი (განმეორებითი) შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე.

ხსენებული დადგენილების მიხედვით, აღნიშნულ ქვეყნებს მიეკუთვნება ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები და მათი ტექნიკური რეგლამენტები, რომელებიც საქართველოში სამოქმედოდ არის დაშვებული. ეს ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრიის რესპუბლიკა, ახალი ზელანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგიის სამეფო, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დანიის სამეფო, ესპანეთის სამეფო, ესტონეთის რესპუბლიკა, ისლანდიის რესპუბლიკა, ირლანდია, იტალიის რესპუბლიკა, იაპონია, კვიპროსის რესპუბლიკა, კანადა, კორეის რესპუბლიკა, ლატვიის რესპუბლიკა, ლიტვის რესპუბლიკა, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, მალტის რესპუბლიკა, მექსიკის შეერთებული შტატები, ნიდერლანდის სამეფო, ნორვეგიის სამეფო, პოლონეთის რესპუბლიკა, პორტუგალიის რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენის რესპუბლიკა, უნგრეთის რესპუბლიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა, ფინეთის რესპუბლიკა, შვედეთის სამეფო, შვეიცარიის კონფედერაცია, ისრაელის სახელმწიფო, ჩილე.

„შესაბამისობის შეფასების მოდულების, ქვემოდულების და მათთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 მაისის №134 დადგენილებით განისაზღვრა შესაბამისობის შეფასების მოდულები, ქვემოდულები და მათთან დაკავშირებული პროცედურები. ამ დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისობის შეფასების მოდულების და ქვემოდულების გამოყენება სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტებით რეგულირებულ სფეროში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სათამაშოებთან მიმართებით ის დღეს არ მოქმედებს.

V. ფაქტობრივი გარემოებები

1. CE ნიშანდება

CE აბრევიატურა მომდინარეობს ფრანგული ფრაზიდან „Conformité Européenne“ და მიუთითებს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისობაზე. თავდაპირველად გამოიყენებოდა ტერმინი „EC ნიშანი“ („EC Mark“), რომელიც ოფიციალურად ჩასწორდა როგორც „CE ნიშანდება“ (CE Marking) ევროკავშირის საბჭოს 1993 წლის 93/68/EEC¹⁴ დირექტივით.¹⁵ CE ნიშანდება, არა ევროპულ პროდუქციასთან მიმართებით, ხშირად განიხილება, როგორც მათი ევროკავშირში სავაჭრო „პასპორტი“. აღნიშნული განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ზემოხსენებული დირექტივა სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, შესაბამისად, მან ასახვა ჰპოვა ევროკავშირის ყველა ქვეყნის ნაციონალურ კანონმდებლობაში. მწარმოებელი საკანონმდებლო დონეზე ვალდებულია პროდუქციას, ან შეფუთვას, ან შესაბამის დოკუმენტებს, მიანიჭოს „CE ნიშანდება“. „CE ნიშანდება“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დონისძიებაა, რომლითაც ევროკავშირმა უზრუნველყო ერთიანი ბაზრის შექმნა. ზემოხსენებული დირექტივის მიზანია ევროკავშირში საქონლის თავისუფალი გადაადგილების გამარტივება. შესაბამისად, ევროკომისია განიხილავს CE ნიშანდებას, როგორც „პასპორტს“, რომელიც პროდუქციისთვის ევროკავშირის ერთიან ბაზარზე თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობას იძლევა.

ზემოხსენებული ნიშანდება მომხმარებლისთვის მაჩვენებელია იმისა, რომ პროდუქტი შეესაბამება ევროკავშირში დაწესებულ სტანდარტებს, შესაბამისად, შესაძლო საფრთხეებისგან გარკვეული დონის დაცვის მიმანიშნებელია. აქედან გამომდინარე, CE ნიშანდება განიხილება როგორც „უსაფრთხოების სიმბოლო“.¹⁶

2008 წელს ევროკომისიამ, CE ნიშანდების ორმაგ გაგებასთან დაკავშირებით¹⁷, ევროპარლამენტის მომართვის საფუძველზე, კერძოდ „Conformité Européenne“ და „China

¹⁴ Council Directive 93/68/EEC of 22 July 1993 amending Directives 87/404/EEC (simple pressure vessels), 88/378/EEC (safety of toys), 89/106/EEC (construction products), 89/336/EEC (electromagnetic compatibility), 89/392/EEC (machinery), 89/686/EEC (personal protective equipment), 90/384/EEC (non-automatic weighing instruments), 90/385/EEC (active implantable medicinal devices), 90/396/EEC (appliances burning gaseous fuels), 91/263/EEC (telecommunications terminal equipment), 92/42/EEC (new hot-water boilers fired with liquid or gaseous fuels) and 73/23/EEC (electrical equipment designed for use within certain voltage limits)

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31993L0068:en:HTML>

¹⁵ ob: <http://www.ce-marking.com/what-is-CE-marking.html>

¹⁶ ob: <http://www.ce-marking.com/why-is-CE-marking-called-European-passport.html>

¹⁷ Parliamentary questions, Written Question by Zuzana Roithová (PPE-DE) to the Commission, 27.10.2007.

<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+WQ+P-2007-5938+0+DOC+XML+V0//EN>

Export¹⁸ აღრევის საკითხზე, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა.¹⁹ ევროკომისიამ მიუთითა, რომ CE ნიშანდება არის ერთადერთი დაშვებული ნიშანდება²⁰.

აღსანიშნავია, რომ CE ნიშანდების მინიჭება არ ხდება ყველა პროდუქტზე. მისი მინიჭება სავალდებულოა მხოლოდ იმ პროდუქტებზე, რომელსაც ითვალისწინებს ახალი მიდგომების დირექტივები. სხვა პროდუქტზე CE ნიშანდების მინიჭება აკრძალულია. ამასთან, როგორც ევროკომისია განმარტავს, CE ნიშანდება არ მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ნიშანდების მქონე პროდუქტის უსაფრთხოება დამოწმებულია ევროკავშირის რომელიმე ორგანოს მიერ. ასევე, არ მიანიშნებს პროდუქტის წარმოშობაზე.²¹

განმცხადებელი მიუთითებს, რომ CE ნიშანდების მინიჭება სავალდებულოა ევროპის ეკონომიკურ რეგიონშიც. ამასთან, აღნიშნული ნიშანდების აღიარება ხდება ყველა იმ ქვეყანაში, რომელთანაც ევროკავშირს ურთიერთაღიარების შეთანხმება აქვს დადებული (Mutual Recognition Agreement (MRA)). ხსენებული შეთანხმებით მხარეები აღიარებენ ერთმანეთის შესაბამისობის შეფასების პროცედურებს. ასეთი ქვეყნებია: ავსტრალია, აშშ, ახალი ზელანდია, კანადა, იაპონია, ისრაელი, შვეიცარია.

განმცხადებლის პოზიციით, მათ მიერ განხორციელებული კვლევიდან²² ჩანს, რომ „გამოკითხული ქართველი მომხმარებლების²³ თითქმის მესამედი (29,9%) აქსესუარების და სათამაშოების არჩევისას, პროდუქციის ხარისხს აქცევს ყურადღებას“. განმცხადებელი დამატებით აღნიშნავს, რომ „სწორედ პროდუქციის „ხარისხში“ (ან უსაფრთხოებაში) მომხმარებლის დარწმუნების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს [...] CE ნიშანი, როგორც იმის მანიშნებელი, რომ პროდუქცია ევროპული ბაზრისთვის არის დამზადებული და ამიტომ შესაბამისი „ხარისხის“ იქნება“.

2. ევროკავშირის სწრაფი შეტყობინების სისტემა - საშიში არა-სასურსათო პროდუქტებისათვის ღია საინფორმაციო ბაზა

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური აგენტები ვალდებულნი არიან გამოიჩინონ საქმიანი გულისხმიერება, არ მიაწოდონ მომხმარებელს პროდუქციის თაობაზე მცდარი ინფორმაცია და ბიზნეს-საქმიანობის ფარგლებში ხელმისაწვდომი

¹⁸ Bragg, J (2010), Warning: don't get confused between the CE Mark and the China Export Mark, YBW.com, <http://www.ybw.com/expert-advice/vhf/news/509220/warning-don-t-get-confusedbetween-the-ce-mark-and-the-china-export-mark>

¹⁹Parliamentary questions, Answer given by Mr Verheugen on behalf of the Commission, 09.01.2008. <http://www.europarl.europa.eu/sides/getAllAnswers.do?reference=P-2007-5938&language=EN>

²⁰ European Commission Staff Working Document Part 1: Evaluation of the Internal Market Legislation for Industrial Products Accompanying the document the Communication from the Commission to the European Parliament, the Council and the European Economic and Social Committee, A vision for the internal market for products, COM (2014) 25, Brussels.

<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52014SC0023&from=EN>

²¹ European Commission, CE marking. https://ec.europa.eu/growth/single-market/ce-marking_en

²² ხელმისაწვდომია: <http://www.momxmarebeli.ge/?menu=5792&rec=5793>

²³ კვლევაში შესწავლილია მხოლოდ ურბანული დასახლებების მაცხოვრებლები.

ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გონივრულ ეჭვს ბადებს პროდუქციაზე დატანილი ინფორმაციის სისწორის შესახებ, გადამამოწმონ წარწერის სისწორე, ან დაფარონ იგი, რათა მომხმარებელი შეცდომაში არ შევიდეს. განმცხადებელი მიუთითებს, რომ პროდუქციაზე CE ნიშნის შესაძლო სიყალბის შესახებ ინფორმაცია მეწარმეებისთვის იოლადაა ხელმისაწვდომი. კერძოდ, ის მიუთითებს, რომ „ინტერნეტში ღიად განთავსებულია ინფორმაცია ევროკავშირის ბაზარზე აღმოჩენილი პროდუქციის (მათ შორის სათამაშოების) შესახებ, რომლებიც ევროკავშირის მიერ დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს არ შეესაბამება (თუმცა, ცხადია CE ნიშანი ყველა მათგანს აქვს). ამ მხრივ ოფიციალურ, ღია საინფორმაციო, ბაზას წარმოადგენს ევროკავშირის ე.წ. სწრაფი შეტყობინების სისტემა საშიში არა-სასურსათო პროდუქტებისათვის“. შესაბამისად, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერი მეწარმის მიერ შესაძლებელია, ზემოხსენებული ინფორმაციის საშუალებით, თავიდან იქნეს არიდებული მომხმარებლის უნებლიედ (ან განზრახ) შეცდომაში შეყვანის ფაქტები. ამასთან, განმცხადებლის მოსაზრებით: „მეწარმეს ასევე ხელი მიუწვდება პროდუქციის და მასზე მითითებული ნიშნების შესაძლო გაყალბებაზე მიმანიშნებელ ისეთ ინფორმაციაზე, როგორცაა მისი მოწოდების საბითუმო ფასი, მომწოდებლის ვინაობა, საქმიანი რეპუტაცია და სხვა“.

ევროკავშირის სწრაფი შეტყობინების სისტემა - საშიში არა-სასურსათო პროდუქტებისათვის ღია საინფორმაციო ბაზა, უზრუნველყოფს, ევროკავშირის 31 ქვეყანასა და ევროკომისიას შორის, საშიში არა-სასურსათო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გაცვლას. შეტყობინებები ხელმისაწვდომია შესაბამის ელექტრონულ მისამართზე.²⁴

აღნიშნული ბაზა მოიცავს ინფორმაციას იმ არასასურსათო პროდუქტებზე, რომელშიც მომხმარებლის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის რისკია აღმოჩენილი.

ევროკომისია ყოველდღიურად ღებულობს ინფორმაციას უფლებამოსილი ეროვნული ორგანოებიდან²⁵, აღმოჩენილი საშიში პროდუქტებისა და განხორციელებული ქმედებების შესახებ. ინფორმაცია ასევე შეიძლება მომდინარეობდეს მწარმოებლისგან, ან დისტრიბუტორისგან, რომლებმაც პროდუქტში/პროდუქტებში მომხმარებელთა ჯანმრთელობისთვის საშიში შემადგენლობა აღმოაჩინეს და ნებაყოფლობით გამოითხოვეს შესაბამისი პროდუქცია ბაზრიდან.

სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ხსენებული ბაზის საშუალებით, აღმოაჩინონ იგივე პროდუქტი თავიანთ ნაციონალურ ბაზარზე და მიიღონ შესაბამისი

²⁴European Commission, Rapid Alert System for dangerous non-food products http://ec.europa.eu/consumers/consumers_safety/safety_products/rapex/alerts/repository/content/pages/rapex/index_en.htm

²⁵ Authorities of Member States and EFTA/EEA countries in charge of receiving and treating notifications on dangerous non-food consumer products sent under Article 5(3) of the General Product Safety Directive (2001/95/EC) by producers and distributors. http://ec.europa.eu/consumers/consumers_safety/safety_products/rapex/alerts/repository/content/pages/rapex/docs/rapex_appointed_authorities_en.pdf

ზომები. აღნიშნული ბაზის ელექტრონულ მისამართზე 2004 წლიდან ყოველკვირეულად ხდება შეტყობინებების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება, რაც შეიცავს ინფორმაციას, უფლებამოსილი ნაციონალური ორგანოების მიერ მოცემულ კვირაში აღმოჩენილ, საშიში არა-სასურსათო პროდუქტების, იდენტიფიცირებული რისკებისა და მიღებული ზომების შესახებ.²⁶

ამასთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის განსაზღვრულია შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, ავტომატურ რეჟიმში მიიღონ შეტყობინება ბაზის ყოველკვირეული განახლების შესახებ. ამასთან, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა სწრაფი შეტყობინების ბაზის საძიებო სისტემასთან, სადაც შესაძლებელია, ევროკავშირში უფლებამოსილი ორგანოს მიერ, უკვე შემოწმებული და შესაბამისად, ელექტრონულ გვერდზე განთავსებული, პროდუქციის გადამოწმება სხვადასხვა საძიებო სიტყვის მითითებით (მაგ: პროდუქტი, ბრენდი, შემტყობინებელი ქვეყანა, წარმოშობის ქვეყანა, რისკის სახე, რისკის დონე, პროდუქტის მომხმარებელი და ა.შ).²⁷

VI. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სააგენტოსთვის წარდგენილი მოსაზრებები

1. განცხადებაში მოცემული ეკონომიკური აგენტების მიერ წარმოდგენილი პოზიცია

ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2016 წლის 8 დეკემბრის განცხადების მიხედვით, შესაძლოა სახეზე იყოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის „ა“ ქეპუნქტის დარღვევა. შესაბამისად, განმცხადებელი მიუთითებს, რომ სახეზეა არაკეთილსინდისიერი ქმედება კომპანიების - შპს „ცეროდენა“, შპს „პობი მასტერი“, სს „გუდვილი“, შპს „ბანა თოი“, შპს „თოი ლენდი“, შპს „ოცნების სამყარო“ მიერ, შპს „ანვოლის“, შპს „პეპელასა“ და შპს „სუპერის“ მიმართ, რითაც ირღვევა მომხმარებელთა ინტერესები.

განცხადებაში აღნიშნულ შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, სააგენტოს, შპს „ცეროდენას“ გარდა, თავისი პოზიცია წარუდგინა ყველა დაინტერესებულმა ეკონომიკურმა ეგენტმა.

ა) სს „გუდვილმა“ 2017 წლის 17 იანვრის №01/38, 25 იანვრის №01/52, 30 იანვრის №01/77 და 31 იანვრის №01/86 წერილებით წარმოადგინა პოზიცია სააგენტოში. კომპანია აღნიშნავს: „სს „გუდვილის“ მიერ ხდება მომწოდებლების მიერ შემოტანილი პროდუქციის (სათამაშოების) რეალიზაცია. მხარეებს შორის ფორმდება ტიპიური

²⁶ European Commission, Rapid Alert System - Weekly Notification reports. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/consumers/consumers_safety/safety_products/rapex/alerts/main/?event=main.listNotifications

²⁷ European Commission, Rapid Alert System - Search notifications. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/consumers/consumers_safety/safety_products/rapex/alerts/main/?event=main.search

ნასყიდობის ხელშეკრულება. თუმცა, ხელშეკრულების გაფორმებას წინ უსწრებს სერთიფიკატების გადამოწმება პროდუქციის ხარისხიანობასა და უსაფრთხოებაზე.

[...] სს „გუდვილი“ არ უწევს მის მიერ რეალიზებულ პროდუქციას რეკლამირებას: არ აწვდის რეკლამის საშუალებით ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სს „გუდვილი“ წარმოდგენილ ყველა პროდუქციას აქვს მსოფლიო სტანდარტებით დადგენილი ეკოლოგიური ნიშნები, ან გავლილი აქვს ტესტირება ან/და შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის და ა.შ.

სს „გუდვილი“ არ ახდენს აღნიშნული ინფორმაციის კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით რეკლამირებას, რადგან ეს არაა მისი, როგორც მწარმოებლის, მომწოდებლის ან იმპორტიორის ბიზნეს-ინტერესი, ვინაიდან არც ერთ სუბიექტს არ წარმოადგენს იგი.

[...] სს „გუდვილი“ ახდენს მომწოდებლებისგან მიღებული პროდუქციის რეალიზაციას და პროდუქციის მიღების წინ იგი ამ კომპანიებისგან იღებს უსაფრთხოების სერთიფიკატს“.

კომპანია მიუთითებს, რომ „სს „გუდვილის“ ინტერესს არ წარმოადგენს გასაყიდი პროდუქციის სარეალიზაციოდ განთავსებისას მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა (უნებლიედ თუ განზრახ). სს „გუდვილს“ აქვს საქმიანი ურთიერთობა ისეთ მომწოდებლებთან, რომ მათ საქმიან რეპუტაციაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს და მითუმეტეს, რომ პროდუქციის უსაფრთხოების სერთიფიკატებით დასტურდება პროდუქციის უვნებლობა“.

კომპანია სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს შემდეგი გარემოებების გამო: „სს „გუდვილი“ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტის განმახორციელებელი არასწორი ადრესატია, ვინაიდან იგი მხოლოდ მოწოდებული პროდუქციის რეალიზაციას ახდენს და არა წარმოებას ან იმპორტს და იმის მტკიცება, რომ სს „გუდვილის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას აქვს ადგილი შპს „ანგოლის“ მიმართ, აბსოლუტურად უსაფუძვლოა, ვინაიდან სს „გუდვილის“ ქმედებაში არ იკვეთება სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მოპოვება, მატერიალური ზიანის მიყენება, ან მცდელობა სხვა ეკონომიკური აგენტების მიმართ, ჩრდილს არ აყენებს კონკურენტების საქმიან რეპუტაციას.

[...] არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, რაც გულისხმობს, რომ ეს უნდა იყოს მიზანმიმართული ქმედება სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუსაბუთებელი (დაუმსახურებელი) უპირატესობის მოსაპოვებლად. [...] სს „გუდვილის“ მხრიდან, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის გამოვლინებას ადგილი არ აქვს [...].“

კომპანია დამატებით აღნიშნავს, რომ „სს „გუდვილი“ არაა მითითებული სათამაშოების მწარმოებელი კომპანია, ან მწარმოებელი კომპანიის ავტორიზებული წარმომადგენელი ან/და ამ სათამაშოების იმპორტიორი კომპანია და არ არის ვალდებული

შეამოწმოს პროდუქციის ეტიკეტზე დატანილი ნიშნის სიყალბე. [...] კომპანია ვერ უზრუნველყოფს თითოეული სათამაშოს ეტიკეტზე მითითებული ნიშნების ლაბორატორიულ შემოწმებას“.

ბ) შპს „ჰობი მასტერმა“ სააგენტოში პოზიცია 2017 წლის 25 იანვრის №01/51 წერილით წარმოადგინა. კომპანია მიუთითებს, რომ ის აწარმოებს იმპორტს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ძირითადად გერმანიიდან და ნიდერლანდებიდან, შესაბამისად, კომპანიის დირექტორი აღნიშნავს: „ჩემი რწმენით, რადგან ამ პროდუქციის მოწოდება ხდება ევროკავშირიდან, სადაც მკაცრად იცავენ ყველა ხარისხის და უსაფრთხოების სტანდარტებს პირადად მე მათ ხარისხში, აგრეთვე კომპანიების სოლიდურობაში და რეპუტაციაში არანაირი ეჭვი არ შემპარვია. აქედან გამომდინარე, შეკვეთების დროს, კონკრეტულ არტიკულებზე დამატებით არ მომიტხოვია შესაბამისი ხარისხის და უსაფრთხოების სერტიფიკატები“.

კომპანია განმცხადებლის მიერ გერმანიაში გაგზავნილ თოჯინასთან დაკავშირებით, რომელშიც ევროკავშირში დასაშვებზე მაღალი ნივთიერება DHEP-ი აღმოჩნდა, აღნიშნავს: „ეს ფაქტი ვაცნობე პროდუქციის მომწოდებელ კომპანიას, თან დავურთეთ გერმანული „Eurofins Consumer Product Testing GmbH“ ლაბორატორიული დასკვნა. მათ გაცნობა ვერ დამალეს მომხდარი ფაქტის შესახებ და გამოგვიგზავნეს დოკუმენტაცია მწარმოებლის მხრიდან [...] გაკეთებული ლაბორატორიული კვლევა „Bureau Veritas Shenzhen CO. LTD“-ს მიერ, რომელიც ადასტურებს, რომ მათი პროდუქცია და მათ შორის ზემოთ აღნიშნული თოჯინა შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტს EN 71-ს“.

კომპანია დამატებით აღნიშნავს, რომ „CE ნიშანი, რომელიც მიუთითებს პროდუქციის უსაფრთხოების პარამეტრებს ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე არ არის და ფიზიკურად ვერ იქნებოდა ჩვენს მიერ ვერანერად გაყალბებული, რადგან ის დატანილია მწარმოებლის მხრიდან საფირმო შეფუთვაზე, ამ გარემოების გათვალისწინებით ჩვენ შეგნებულად არ შეგვიყვანია მომხმარებელი შეცდომაში [...]“.

კომპანია მიუთითებს, რომ ის ეჭვს ვერ შეიტანს როგორც განმცხადებლის, ისე მისი მომწოდებლის მიერ წარმოდგენილ ლაბორატორიულ დასკვნაში, „რომელთა გადამოწმება ან თავიდან ჩატარება კომპანიის კომპეტენციის და შესაძლებლობების ზღვარს სცილდება“.

კომპანიამ აღნიშნა, რომ მომხრეა ქართულ ბაზარზე ჯანსაღი და უვნებელი პროდუქციის იმპორტისა, შესაბამისად, სადავო თოჯინა მათ მიერ ამოღებულ იქნა გაყიდვიდან.

გ) შპს „ოცნების სამყარომ“ სააგენტოში 2017 წლის 25 იანვრის №01/59 წერილით წარმოადგინა პოზიცია. კომპანია არ ეთანხმება წარმოდგენილ განცხადებას და მიიჩნევს, რომ იგი „დაკვეთილი ანტირეკლამა“.

დ) შპს „თოი ლენდმა“ სააგენტოში პოზიცია 2017 წლის 25 იანვრის №01/58 და 27 იანვრის №01/66 წერილებით წარმოადგინა. კომპანია თვლის, რომ სააგენტომ

წარმოდგენილი განცხადება დაუშვებლად უნდა მიიჩნიოს შემდეგი მიზეზების გამო. „განმცხადებელი საკუთარ საჩივარში საუბრობს იმ სამართლებრივი ნორმების დარღვევაზე, რომელიც არ ვრცელდება საქართველოში და არ წარმოადგენს სავალდებულო ქცევის წესს საქართველოში მოქმედი ბიზნეს ერთეულებისთვის.

არ არსებობს ნორმები, რომელიც საქართველოში საქონლის (სათამაშოების) ხარისხის ან/და შეფუთვაზე აღნიშნული ნიშნების გამოყენების წესებს ადგენს. შესაბამისად, არ არსებობს იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიის ვალდებულება გადაამოწმოს შეფუთვის სტანდარტი და საქონლის შემადგენლობა.

აღნიშნული ვალდებულების არარსებობის პირობებში შპს „თოი ლენდი“ არ ახდენდა შეფუთვაზე მითითებული ნიშნების იდენტიფიცირებას და მის ევროკავშირში არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.

მომხმარებელთან ურთიერთობის დროს კონსულტანტები ინტერესის შემთხვევაში ამომწურავ ინფორმაციას აწვდიან მომხმარებელს, მათ შორის, ბუნებრივია გაცემენ ინფორმაციას სათამაშოების მწარმოებელი ქვეყნის შესახებ. სათამაშოების იმპორტი წარმოებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან და ეს ინფორმაცია მომხმარებლისთვის არ არის დამალული.“

კომპანია დაუსაბუთებლად და არარელევანტურად მიიჩნევს განმცხადებლის მოსაზრებას, რომ საქართველოში მომხმარებელი მასიურად იცნობს CE ნიშანს, რადგან „განმცხადებელს არ აქვს წარმოდგენილი კვლევა თუ რამდენად იცნობს საქართველოში მომხმარებელი CE ნიშანს და სრულად ერკვევა თუ არა მის მნიშვნელობაში. ამასთან, რაც მთავარია, არ არის მტკიცებულება იმაზე, თუ რამდენად აქვს CE ნიშანს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე გავლენა და რა უფრო მნიშვნელოვანია, მომხმარებლისთვის CE არსებობა შეფუთვაზე თუ პროდუქციის ფასი“.

ე) შპს „ბანა თოიმ“ 2017 წლის 1 თებერვალის №01/91 წერილით წარუდგინა სააგენტოს საკუთარი პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ „არასდროს გაუვრცელებია კომუნიკაციის არც ერთი საშუალებით (ინტერნეტით, ტელევიზიით, რადიოთი ან/და სხვა) ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მის მაღაზიათა ქსელში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შექმნილი სათამაშო შეესაბამებოდა ევროკავშირში დადგენილ სათამაშოთა უსაფრთხოების ნორმებს ან/და ამ პროდუქციის ეტიკეტზე CE ნიშნის არსებობის შესახებ“.

კომპანია მიუთითებს, რომ CE ნიშანდების სათამაშოზე დატანების ვალდებულება მწარმოებელს ეკისრება, შესაბამისად კომპანიას არ ჰქონია ინფორმაცია ნიშანდების ევროკავშირის უსაფრთხოების სტანდარტებთან შეუსაბამობისა და შესაბამისად, CE ნიშნის სიყალბის შესახებ.

კომპანია მიიჩნევს, რომ ლაბორატორიული კვლევის ჩატარების, ან ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების ვალდებულება საქართველოში რეგისტრირებულ ეკონომიკურ აგენტს არ გააჩნია. ეკონომიკური აგენტი დამატებით

მიუთითებს, რომ საქართველოს სათამაშოების უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტი ამ ეტაპზე არ გააჩნია.

კომპანია აღნიშნავს, რომ „შპს „ბანა თოი“ ყველა თავის მიმწოდებელს (მათ შორის არის ასევე შპს „ანვოლი“ [...]) იცნობს, როგორც კარგი საქმიანი რეპუტაციის მქონეს და კეთილსინდისიერ ეკონომიკურ აგენტებს და არ გააჩნია ინფორმაცია საპირისპიროს შესახებ. ასევე საგულისხმოა, რომ შპს „ბანა თოის“ არარეზიდენტი პარტნიორები (მომწოდებლები - როგორც მწარმოებლები, ასევე შუამავლები) ყოველწლიურად წარმოდგენილნი არიან ევროპისა და აზიის ყველა დიდ და პრესტიჟულ სათამაშოების გამოფენებზე (Spielwarenmesse- ნიურნბერგი, გერმანია და HKTDC Hong Kong Toys & Games - ჰონგ-კონგი), პროდუქციის საბითუმო ფასი კი ვერ იქნება რაიმე ტიპის გაყალბებაზე მიმანიშნებელი“.

კომპანია მიუთითებს, რომ ის თანამშრომლობს ევროპაში, ევროკავშირსა და ევროპული ბაზრებისთვის აზიაში სათამაშოების დამამზადებელ ცნობილ ბრენდებთან.

კომპანია არ ეთანხმება სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებას შემდეგი მიზეზის გამო: „მაღაზიაში წარმოდგენილი სათამაშოებიდან იმ ერთი თოჯინის გარდა, რომელზეც არსებობს ლაბორატორიული დასკვნა, შესაძლებელი იყო და არის ისეთი პროდუქციის შექმნა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მის ეტიკეტზე დატანილ CE ნიშანს, მაშინ არის ალბათობა იმისა, რომ საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი ეკონომიკური აგენტის მაღაზიათა ქსელში ნებისმიერ მომენტში შექმნილ იქნას, როგორც მხოლოდ ყალბი CE ნიშნის მატარებელი, ასევე მხოლოდ აუთენტური CE ნიშნის მატარებელი პროდუქცია, ან ორივე ერთად. შესაბამისად, სრულ პროდუქციაზე ლაბორატორიული კვლევის ჩატარების გარეშე შეუძლებელია საუბარი იმაზე, რომ ადგილი აქვს მხოლოდ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან აგენტების მხრიდან რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან აგენტების მიმართ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, ან საუბარი იმაზე, რომ რომელიმე ეკონომიკური აგენტი მხოლოდ აუთენტური CE ნიშნის მქონე პროდუქციას ყიდის“.

ვ) შპს „ანვოლმა“ 2017 წლის 23 იანვრის №01/47 წერილით წარმოადგინა პოზიცია, სადაც მითითებულია, რომ კომპანია „მაღაზიათა ქსელის მეშვეობით ახორციელებს მხოლოდ ოფიციალური მწარმოებლების შესაბამისი სერთიფიკატების (წარმოშობისა და ხარისხის) მქონე ბრენდირებული პროდუქციის რეალიზაციას (ნებადართული იმპორტი და რეალიზაცია ევროკავშირის, აშშ, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე მკაცრი ხარისხის კონტროლის სტანდარტების გათვალისწინებით), რომელსაც ვიღებთ კომპანიის ერთ-ერთი ევროპული დამფუძნებელი კომპანიისაგან და ოფიციალური საერთაშორისო მწარმოებელი ორგანიზაციებისგან.

შესაბამისად, ჩვენს პროდუქციას ჰყავს ისეთი მომხმარებელი, რომელიც ხარისხს და უსაფრთხოებას ყურადღებას აქცევს და გამოვირჩევით პროდუქციის სანდოობით. ამასთანავე, დაინტერესებულ მომხმარებლებს ვაწვდით ინფორმაციას პროდუქციის წარმომავლობისა და ხარისხის თაობაზე“.

კომპანიის მითითებით, „სამწუხაროა, რომ სათამაშოების სარეალიზაციო ბაზარზე შეინიშნება CE ნიშანდების პროდუქციის არასათანადოობა და შეუსაბამობა, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ „კომპანიისათვის ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება ამ ეტაპზე არ შეგვიძლია და იგი საჭიროებს დამატებით სპეციალურ გრძელვადიან კვლევას და ანალიზს“.

ზ) შპს „სუპერმა“ პოზიცია სააგენტოში 2017 წლის 27 იანვრის №01/69 წერილით წარმოადგინა, სადაც აღნიშნულია: „ჩვენი კომპანია იცავს უსაფრთხოების ზომებს და ახდენს საქონლის იმპორტს, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის უსაფრთხოების მოთხოვნებს. ბუნებრივია, რომ პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს არის ძვირადღირებული, სამწუხაროდ, ქართულ ბაზარზე შემოდის იაფიანი უხარისხო პროდუქცია, რომელიც გვაყენებს არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში და საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას. ჩვენი ძალებით ვერ ვახერხებთ ზემოხსენებული პრობლემის მოგვარებას“. კომპანია მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით აპელირებას არ აკეთებს.

თ) შპს „პეპელამ“ 2017 წლის 2 თებერვლის №01/94 წერილით წარმოადგინა პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ კომპანია ახორციელებს როგორც სათამაშოების იმპორტს, ასევე დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით. იმპორტი ხორციელდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ასევე ბელორუსიასა და უკრაინიდან. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, იმპორტი ხდება ჩინეთიდან, თუმცა, შემოდის ისეთი საქონელი, რომელიც ევროპული ბაზრისთვისაა განკუთვნილი.

მეწარმე მიუთითებს, რომ მომხმარებელი ბოლო პერიოდში ყურადღებას აქცევს ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების არსებობას.

როგორც წერილშია აღნიშნული, „უხარისხო პროდუქციის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ ვარჩევთ ისეთ კომპანიებს, რომლებიც ცნობილი არიან თავისი ხარისხით, უსაფრთხოებით. ყოველწლიურად ფირმის დირექტორი მიემგზავრება გერმანიაში, სათამაშოების საერთაშორისო გამოფენაზე, როგორც ჩვენ არსებულ მომწოდებლებთან შესახვედრად, ასევე, ახალ კომპანიებთან სათანამშრომლოდ. აღნიშნულ გამოფენაზე მარტივი არის გაეცნო კომპანიას, მისი პროდუქციის ხარისხს და სანდოობას“.

კომპანია განცხადებაში მოცემულ ზიანზე აპელირებას არ აკეთებს და უთითებს, რომ „უხარისხო პროდუქტის კონტროლი უნდა განხორციელდეს საქონლის იმპორტის დროს და ეს რეგულირდებოდეს კანონმდებლობით. ჩვენი კომპანიის დირექტორი ასევე თვალყურს ადევნებს ინტერნეტ საიტს, სადაც ფიქსირდება ევროპის ბაზარზე აკრძალული სათამაშოები“.

2. სახელმწიფო უწყებებიდან წარმოდგენილი ინფორმაცია

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო აღნიშნავს, რომ „საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შეთანხმების“ ღრმა და

ყოველმხრივად თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების III-A დანართით განსაზღვრული საკანონმდებლო დაახლოების ცხრილის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ (2009/48/EN) ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან გათვალისწინებულია 2019 წლისათვის. ამდენად, ბაზარზე ზედამხედველობა აღნიშნულ პროდუქტზე განხორციელდება და კანონმდებლობასთან შეუსაბამო პროდუქტებზე რეაგირება მოხდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებისა და ამოქმედების შემდგომ“.

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნიშანდებასთან დაკავშირებული საკითხები არ შედის სააგენტოს კომპეტენციაში. სააგენტო დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 94-ე მუხლის „პროდუქტის ნიშანდება“ პირველი პუნქტის შესაბამისად: „პროდუქტის ნიშანდება არის პასუხისმგებელი პირის მიერ იმის დეკლარირება, რომ: ა) პროდუქტი შეესაბამება ახალი მიდგომის ტექნიკურ რეგლამენტებს და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას; ბ) პროდუქტს გავლილი აქვს შესაბამისობის შეფასების პროცედურები. ამავე მუხლის მეხუთე პუნქტის შესაბამისად, „ევროკავშირში მოქმედი მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი CE ნიშნის მქონე პროდუქტის საქართველოში დაიშვება დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე“.

სსიპ შემოსავლების სამსახური აღნიშნავს, რომ „საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს CE ნიშანდებით შემოსული პროდუქციის სპეციალურ საბაჟო კონტროლს. იმპორტიორს არა აქვს ვალდებულება, საბაჟოზე წარადგინოს დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ თოჯინებზე დატანილია CE ნიშანდება და ის შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს“.

ასევე სსიპ შემოსავლების სამსახურის წერილში მითითებულია, რომ ეკონომიკური აგენტის მიერ იმპორტირებული საქონლის, მათ შორის, თოჯინების ხარისხის CE ნიშანდებასთან შესაბამისობის გადამოწმების შესაძლებლობის საკითხი სცილდება საბაჟო დეპარტამენტის კომპეტენციას.

VII. სამოტივაციო ნაწილი

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განმარტებული გონივრული ეჭვის სტანდარტი. თუმცა, კონკურენციის სააგენტომ საკუთარ

გადაწყვეტილებებში ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადებასა²⁸ და „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივართან²⁹ დაკავშირებით, განმარტა, თუ რა შემთხვევაში არ მიიჩნევა დაკმაყოფილებულად გონივრული ეჭვის სტანდარტი:

კონკურენციის სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება/საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს განცხადებაში/საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს განცხადების/საჩივრის დასაბუთებულობას. კერძოდ, თუ რამდენად შეიცავს განცხადება/საჩივარი კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის მტკიცებულებებს და რომელი ზიანის თეორია იკვეთება. გარდა ამისა, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.

შესაბამისად, სააგენტო განცხადებაში/საჩივარში მოყვანილ ფაქტებსა და მტკიცებულებებს გააანალიზებს შესაბამისი ბაზრის შესახებ მის ხელთარსებულ ეკონომიკურ თუ სხვა ტიპის ინფორმაციასთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ინფორმაციის ერთობლიობის საფუძველზე, სააგენტო დაადგენს, არსებობს თუ არა გონივრული ეჭვი, რომელიც გაამართლებდა მოკვლევის დაწყებას.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა მიზნად ისახავს საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარებას. სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ანტიკონკურენციული შეთანხმებების გამოვლენა და აღკვეთა, რაც მუდმივი პროცესია და მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა პროდუქციულ ბაზარზე დაკვირვებას, ინფორმაციის ანალიზს და, საჭიროების შემთხვევაში, მოკვლევის ჩატარებას და შესაბამისი ეკონომიკური

²⁸ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის ბრძანება N25 - გადაწყვეტილება ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ; ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/ge/page4.php?b=368> . ასევე, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 დეკემბრის N 246 ბრძანება - გადაწყვეტილება ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ 2016 წლის 24 ნოემბრის N01/1114 განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ; ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/ge/page4.php?b=496>

²⁹ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 23 დეკემბრის ბრძანება N241 - გადაწყვეტილება შპს „სიტროენ ჯორჯიას“ 2016 წლის 9 ნოემბრის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ; ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/ge/page4.php?b=493> .

აგენტების წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას. კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში, სააგენტოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თუ მომხმარებლებთან. შესაბამისად, სააგენტო მიესალმება ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც მესამე პირები აწვდიან, განსაკუთრებით, თუკი ასეთი ინფორმაცია სააგენტოს დაეხმარება სამართალდარღვევის გამოვლენაში. კონკურენციის სამართლის აღსრულებაში საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია განმცხადებლის სტატუსი.

განმცხადებელი არის პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომ არსებითად ირღვევა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, თუმცა ამის შედეგად მას უშუალოდ არ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი განცხადებით მიმართავს სააგენტოს. განმცხადებელი სააგენტოს წარმოუდგენს დარღვევის შესახებ შესაბამის მტკიცებულებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოში უკვე არსებული და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოგროვებული ინფორმაციის ერთობლიობით წყვეტს განცხადების დასაშვებად ცნობის, ე.ი. მოკვლევის დაწყების საკითხს. დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, სააგენტო ეყრდნობა გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განმცხადებლის ფორმალურ სტატუსს. ევროკომისიის სახელმძღვანელოში კონკურენციის სამართლის პროცედურის კუთხით³⁰ ევროკომისია მიესალმება სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან კონკურენციის სამართლის შესაძლო დარღვევაზე ინფორმაციის მიღებას, თუმცა ასევე განსაზღვრავს ამ ორგანიზაციების უფლებების ფარგლებს. მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მომჩივანისთვის დადგენილ მაღალ სტანდარტს, უფლება აქვთ კომისიას მიაწოდონ ინფორმაცია ბაზრის შესახებ, თუმცა კომისიას არ აქვს არავითარი ვალდებულება, რეაგირება მოახდინოს ასეთ ინფორმაციაზე. თუკი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც იწყება მოკვლევა, არ კვალიფიცირდება საჩივრად, მაშინ მოკვლევა დაწყებულიად ითვლება კომისიის ინიციატივით (მიუხედავად იმისა, თუ რა როლი შეეძლო ეთამაშა წერილის/განცხადების სახით მიღებულ ინფორმაციას). ეს არ ნიშნავს, რომ ევროკომისია იგნორირებას უკეთებს მსგავს ინფორმაციას. პირიქით, ხშირია შემთხვევები, რომ მსგავსი განცხადების შემდეგ კომისია იწყებს დაკვირვებას შესაბამის ბაზარზე, სხვადასხვა ეკონომიკურ ინდიკატორზე, შესაძლოა გამოითხოვოს ინფორმაცია ეკონომიკური აგენტებისგან და როდესაც ექნება დასაბუთებული ეჭვი კონკურენციის სამართლის დარღვევის შესაძლო დარღვევის შესახებ, მხოლოდ მას შემდეგ იწყებს მოკვლევის ფორმალურ პროცედურას.

³⁰ Antitrust Manual of Procedures, Internal DG Competition working documents on procedures for the application of Articles 101 and 102 TFEU, March 2012; თავი 21-ე, წარმოება საჩივართან დაკავშირებით, პარაგრაფი 1; (იხ. http://ec.europa.eu/competition/antitrust/information_en.html).

განმცხადებლისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს მომჩივნის ფორმალურ სტატუსს. მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც კი, ევროკომისიას აქვს მოკვლევის დაწყების შესახებ დისკრეტია.

ევროკავშირში, ფორმალურად დასაშვებ საჩივარს (რომელიც შევსებულია კომისიის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით) შესაძლოა ეთქვას უარი დაუსაბუთებლობის გამო, როდესაც ის არ/ვერ წარმოადგენს მინიმალურ წინასწარ (*prima facie*) მტკიცებულებასაც კი, რაც დაადასტურებდა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე ან 102-ე მუხლების დარღვევის ერთ ან რამდენიმე წინაპირობას³¹.

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ³² განმარტავს, რომ „კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ ფაზის დროს, კომისია ამოწმებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ მოკვლევას [...]“. ასევე, „პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე შეწყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ისინი არ იმსახურებენ შემდგომ შესწავლას“.

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ³³ განმარტავს, რომ „საჩივრის მიღების პირველ ეტაპზე, კომისია შეისწავლის საჩივარს და აგროვებს დამატებით ინფორმაციას, იმის გადასაწყვეტად, თუ რას მოიმოქმედებს შემდგომ. ამ დროს ხდება ინფორმაციის არაფორმალური გაცვლა კომისიასა და საჩივრის ავტორს შორის, სადაც უფრო დეტალურად დგინდება საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და იურიდიული საკითხები. ამ დროს, კომისიას შეუძლია, უკვე გამოხატოს პირველადი პოზიცია საჩივრის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს საჩივრის ავტორს, განავრცოს ან/და დააზუსტოს იგი“.

ზემოხსენებული ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმა C-ის³⁴ მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით მისი უარყოფა შეუძლია“.

³¹ Antitrust Manual of Procedures, Internal DG Competition working documents on procedures for the application of Articles 101 and 102 TFEU, March 2012; თავი 21-ე, წარმოება საჩივართან დაკავშირებით, ნაწილი 3.1.2; (იხ. http://ec.europa.eu/competition/antitrust/information_en.html).

³² Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), პარა. 11-12.

³³ Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, (ამჟამინდელი 101 და 102 მუხლები; იხ. [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52004XC0427\(04\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52004XC0427(04))), პარა. 47, 53 და 55.

³⁴ ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა.

დაბოლოს, კონკრეტული საჩივრის უარყოფა არ ნიშნავს იმის დადგენას, რომ საჩივარში დასმული საკითხები (მატერიალური კუთხით) არ არღვევს 101/102 მუხლებს. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ კომისიამ ამ ეტაპზე აღნიშნული საჩივარი დაუსაბუთებლად ჩათვალა, რაც არ გამორიცხავს მოგვიანებით კომისიის, ეროვნული კონკურენციის ორგანოს ან სასამართლოს მიერ იმავე საფუძველით დარღვევის დადგენას³⁵.

საქართველოს კანონმდებლობა, ევროკავშირისგან განსხვავებით, სააგენტოს უდგენს ფორმალურ ვალდებულებას, მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ შემოსულ განცხადებაზე, კერძოდ, შეაფასოს მათი ფორმალური და შემდგომში, მატერიალური დასაშვებობა. თუმცა, ასევე თანაბრად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა სააგენტოს ანიჭებს კონკურენციის პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებას. სააგენტოს შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელი იქნებოდა, სააგენტოს ნებისმიერი განცხადების შესახებ მოკვლევის დაწყება რომ ევალეზოდეს.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ჭრილში დაკვალიფიცირებისთვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

- ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს;
- ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;
- გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს;

დ) სახეზე უნდა იყოს მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქმედების შემადგენლობა. კერძოდ, კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს.

სააგენტო აღნიშნავს, რომ უსაფრთხო პროდუქციის განთავსება და სათამაშოების მახასიათებლების შესახებ მართებული ინფორმაციის მიწოდება, სათამაშოების ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისთვის საქმიანობის ამოსავალ დებულებას უნდა წარმოადგენდეს, რათა დაცული იყოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისა და მომხმარებელთა ინტერესები. ამ კუთხით, სათამაშოების ბაზარზე კეთილსინდისიერი კონკურენცია ასევე გულისხმობს ბაზარზე CE ნიშანდებით მხოლოდ ისეთი სათამაშოების განთავსებას, რომელიც შეესაბამება ევროკავშირში დადგენილ სტანდარტებს, რაც კონტროლდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ და მტკიცდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

³⁵ იხ. Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, პარა. 72.

სააგენტო ასევე მიუთითებს, რომ განცხადებაში მითითებული ეკონომიკური აგენტები, ევროკავშირის სტანდარტებთან შეუსაბამო, თუმცა CE ნიშანდების მქონე სათამაშოების ბაზარზე განთავსებით, თეორიულად, შესაძლოა, არღვევდნენ საქმიანი ეტიკის ნორმებს, ეწეოდნენ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას კონკურენტი ეკონომიკური აგენტის მიმართ და ლახავდნენ მომხმარებლის ინტერესებს, რადგან სათამაშოზე CE ნიშანდება არის მომხმარებლისთვის ინდიკატორი იმისა, რომ ის შეესაბამება ევროკავშირში დადგენილ სტანდარტებს. CE ნიშანდების არასწორად მითითება, თეორიულად, იწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას სათამაშოს ხარისხთან მიმართებით და ხელს უწყობს მასზე არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, შესაბამისად, გავლენას ახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ ქმედებაზე. თუმცა, სააგენტოს მიერ ამ შეფასების გაკეთებამდე, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, ამ ეტაპზე, ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო რეალობა:

მოქმედი კანონმდებლობით, სათამაშოების ხარისხთან მიმართებით ტექნიკური რეგლამენტი არ არის მიღებული, რადგან სათამაშოების უსაფრთხოების ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან (2009/48/EN) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება 2019 წლისთვისაა გათვალისწინებული. შესაბამისად, სახეზე არ არის ბაზრის ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოს ბაზარზე უსაფრთხო სათამაშოების განთავსებას, ბაზრის კონტროლს და სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სათანადო ზომების განხორციელებას. ამდენად, დღეს საქართველოში არ არსებობს სათამაშოების ბაზარზე მოქმედი სუბიექტების (იმპორტიორის, მწარმოებლის, რეალიზატორის, დისტრიბუტორის და სხვა) პასუხისმგებლობის დამაკისრებელი ნორმები და ზოგადად, ამ ეტაპზე, განცხადებაში მოყვანილი ეკონომიკური აგენტებისთვის, სათამაშოებზე CE ნიშანდებასთან დაკავშირებული ვალდებულებები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ეკონომიკური აგენტი ასევე მოკლებულია შესაძლებლობას, ყოველგვარი ლაბორატორიული შემოწმების გარეშე, საშიში არასასურსათო პროდუქტებისათვის სწრაფი შეტყობინების სისტემის ბაზის მეშვეობით მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია ბაზარზე განთავსებულ ყველა სათამაშოსთან მიმართებით და შეამოწმოს CE ნიშანდების სიყალბე. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ, დღევანდელი მონაცემებით, ხსენებული ბაზა არ შეიცავს ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ შემოწმებულ და ევროპის სტანდარტებთან შეუსაბამოდ ცნობილ სათამაშოებს.

ამასთან, განცხადებაში მოცემული ეკონომიკური აგენტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მოახდინონ თითოეული იმპორტირებული სათამაშოს ლაბორატორიული შემოწმება და დაადგინონ, რამდენადაა შესაბამისობაში საქართველოში იმპორტირებული CE ნიშანდების მქონე სათამაშოები ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რამდენადაა დაცული მწარმოებლის ვალდებულებები თოჯინაზე CE ნიშანდების დატანების შესახებ და ა.შ. ერთი მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, არ არსებობს ნორმა, რომელიც მეწარმე სუბიექტებს ამ ქმედების განხორციელების

ვალდებულებას დააკისრებდა და მეორეს მხრივ, ხსენებული ლაბორატორიული შემოწმება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან.

შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სათამაშოების ბაზარზე მოქმედი სუბიექტები დღეს თანაბარი შესაძლებლობებისა და თავისუფალი ბაზრის პირობებში საქმიანობენ და კონტროლის მექანიზმების არარსებობის გათვალისწინებით, ვერცერთი მათგანი ვერ იქნება დარწმუნებული, მის მიერ იმპორტირებულ ყველა სათამაშოზე მწარმოებლის მხრიდან დატანილი CE ნიშანდების უტყუარობაში.

მნიშვნელოვანია ასევე ხაზი გაესვას, რომ სააგენტოს მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოკითხული სათამაშოების იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიებიდან არცერთს არ წარმოუდგენია ინფორმაცია და შესაბამისი მტკიცებულებები, პროდუქციაზე არასათანადო CE ნიშანდების არსებობის შედეგად მისთვის ზიანის მიყენების თაობაზე.

სათამაშოებზე CE ნიშანდების რეგულირების საკანონმდებლო რეალობიდან გამომდინარე, ბაზარზე განთავსებული სათამაშოების შესახებ სრული ინფორმაციის არარსებობის პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ დღეს არ ხორციელდება სათამაშოების ბაზრის ზედამხედველობა და კონტროლი, სააგენტო ვერ იმსჯელებს, თუ რამდენად ხდება „საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილდინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებებისკენ უბიძგებს“.

ამასთან, ვინაიდან დღეს არ ხორციელდება სათამაშოებზე CE ნიშანდების კონტროლი და საკანონმდებლო დონეზე არ არის გაწერილი ეკონომიკური აგენტების ვალდებულებები, სააგენტო ვერ შეაფასებს განცხადებაში მოცემული ეკონომიკური აგენტების მიერ საქმიანი ეთიკის ნორმების დარღვევის საკითხს. ამდენად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემადგენლობის არსებობისთვის ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ მიერ წარმოდგენილი ერთეული სათამაშოების ლაბორატორიული შემოწმება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს წარმოემვას გონივრული ეჭვი მოკვლევის დასაწყებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააგენტო ადგენს, რომ საქართველოში დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების გათვალისწინებით, არ არსებობს გონივრული ეჭვი მოკვლევის დასაწყებად. ვინაიდან, შესაბამისი ვალდებულებების არარსებობის პირობებში, განცხადებაში მოცემული ეკონომიკური აგენტების ქმედება ვერ იქნება შეფასებული, როგორც მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს.

ამასთანავე, განცხადებაზე უარის თქმა არ ნიშნავს, რომ სააგენტო მხედველობაში არ იღებს მასში მითითებულ ფაქტებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განცხადების დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება განცხადებაში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს,

გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, როგორც ახალი განცხადების/საჩივრის, ასევე საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილი დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-12 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2016 წლის 7 დეკემბრის N01/1172 განცხადება არ იქნას დასაშვებად ცნობილი.
2. განმცხადებელს უარი ეთქვას წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (1 თვე) და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე

